ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №4340854

ნომერი: AR1654560

თარიღი : 11.01.2019

გაცემის თარიღი : 17.01.2019

გაცნობის თარიღი : 19.01.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ც. დადიანი , N 265-267;

დამკვეთი-განმცხადებელი

- აჰმეთ აქისქალი პ/ნ 01901135596
- თბილისი მ.კოსტავას ქ. N 45 ბლოკი ბ ბ. 23

ნომენკლატურა :

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- IV კლასი
- შეთანხმებული პროექტის ცვლილება
- პროექტის შეთანხმება

.არსებობის შემთხვევაში სამსახურის მიერ შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ) რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: 2785039 N265 (16.08.2016წ.)
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 18.08.2016

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ვახტანგ ინანიშვილი
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს"არტკუბი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 405011507

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს ,,თბილისი გეით ინვესთმენთ ენდ თრეიდინგ ქო"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 427723813
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: აბდულრაფეა მოჰსინ დჰეიაბ ალ-კუბაისი,
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: A8639726

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 1635.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 587.5
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 5574.1
- .საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 3129.8
- .კომერციული ფართობი (კვ.მ).: 344.2
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 480.0
- .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 797.0
- .ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).: 823.1
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 19823.4
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 15759.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 4064.4
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 38.66
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 34.56
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 4.1
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 537.7(537.7/1635=0.32) კ1-0.3
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 4573.2(4573.2/1635=2.79) კ2-2.8
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 449.7(449.7/1635=0.27) კ3-0.3

.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: 3463598
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 15.08.2017

.არსებობის შემთხვევაში მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 3599704
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 10.09.2017

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

## გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

01. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის N13-01190163247 წერილით არქიტექტურის სამსახურისთვის ცნობილი გახდა, რომ საპროექტო ობიექტის მშენებლობა ნაწარმოებია შეთანხმებული პროექტის დარღვევით. აქედან გამომდინარე და მოქმედი კანონმდებლობის თანახმად,

საჭიროა, წარმოადგინოთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ინსპექციის (ყოფ. ზედამხედველობის სამსახურის) მიერ გაცემული დადგენილება სამშენებლო სამსართალდარღვევასთან დაკავშირებით და შესაბამისი სანქციის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.
02. დარღვევით ნაწარმოებ მშენებლობასთან დაკავშირებით წარმოადგინეთ კონსტრუქციული დასკვნა. აღნიშნულს თან უნდა ერთვოდეს პასუხისმგებელი პირის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
03. წარმოდგენილი იერსახით სამშენებლო ობიექტის განვითარება სამსახურისთვის მისაღები არ არის. არქიტექტურული იერსახის გაუმჯობესების მიზნით, ობიექტის არქიტექტურა საჭიროებს მეტ დახვეწას, როგორც მოცულობითი გადაწყვეტის, ისე მოსაპირკეთებელი მასალებისა და ფერების შერჩევის მხრივ. საჭიროა ფასადების იერსახე არ გაუარესდეს შეთანხმებულის მიმართ.
04. ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით). -> .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: მიუთითეთ ვექტორულ ფაილში წარმოდგენილი კროკის შესაბამისად.
05. ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით). -> .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). :
კ2 კოეფიციენტის მნიშვნელობა შეუსაბამეთ გრგ-ს მიხედვით დადგენილ მაჩვენებელს.
06. შენობა-ნაგებობის ყველა სართულისა და სახურავის გეგმები, მასშტაბი 1:100. -> .გეგმების pdf ფაილი.: ავტოსადგომების რაოდენობა უნდა შეესაბამებოდეს ბინების რაოდენობას, შემცირების ნაცვლად დაამატეთ დამატებული ბინების შესაბამისი რაოდენობის ავტოსადგომები.

გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

---

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.